ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიაბეში

1

იანვარი
1991

ნახ. - ჯ. ლოლუასი



— ამის მაგივრად ეგ მრგვალი მაგიდა დად-
გით!

... ანგიორ აბულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება შრომას!

ჩვენში განსაკუთრებით
მუშის შრომას ვაფასებთ! —
ელავს ღიმი, მუშური,
საპატიო დაფაზე!..
პატივს იღებს უხვადა
გლეხიც — შრომა-ჯაფიდან, —
რაკი ისიც დაგვღიმის
საპატიო დაფიდან!..
მიაქვთ ენთუზიაზმი
ქოხ-სარდაფში ამ დაფებს!..
ტყეებს ვჩეხავთ სადაფოდ
და დაფდაფიც დაფდაფებს!..
იმ დაფაცმულს[1] ვედაფე[2] —
მუშაა თუ გლეხია,

1. **დაფაცმული** — ანუ დაფაზე გაკრული, დაფაზე ცმული.

2. **ვედაფე** — ვითომდა, დაფად გავუხდი, მის საგმირო საქმეს სიამოვნებ-ნებაყოფლობით ვეპროპაგანდისტეო, ვენაცვალეო.

სულით მტკიცეს,
დღემდე რომ
გული არ გასტეხია:
მერე რა, თუ არა ზის
კოვზით მსუყე ფაფასთან,
ის ცოტაა, შრომა რომ
მეტისმეტად დაფასდა?!

საჯაროობა

მზეზედაც დგება,
თურმე, ზამთარი,
იქაც ბურბურებს
თურმე ზაფხული,
მასაც ჰყავს თავის
მტყუან-მართალი,
მზეთუნახავი
და უსახური!..
თავის უნათებს
მზეცა და მთვარეც,
იქაც გაფუჭდა,
თურმე, კახური!..

მოკლედ, არაფერს
აღარ გვიმალავს
უშიშროების
სპეცსამსახური!

* * *

ტრიბუნობს მწირი გონების
ძველი ყაიდის ტრიბუნი, —
თითქოსდა, მთელი დარბაზი
სისხლისფერ ნისლით იბურვის!..
ნამდვილი კუპრის კოლიტა,
უკუნი ღამის ნარჩენი!..
რა გასაჩენი ეს იყო —
დედისგან არგასაჩენი!

ილუსტაციები
ჯემალ ლოლუასი



უსიტყვოდ

ნახ. გ. ზუგაშვილისა

— თქვენი ბილეთი, ამხანაგო!

ნახ. ვ. კუციასი

„ნიანგის“ რაციონალიზატორული ნინადადება

ზვიად-ბატონის შტაბებინას, —
დიად კოლხურ კოშკს რომ ვეტყვით, —
გალის 19-ის მაგივრად, —
გაეკვრას მრგვალის 12!

ეს კარგია ინასარიძე

ეს ბოლო ბალეტი

ბოლოდ ფაქტები!

გაოფლიანებულმა გლეხმა ბარი მხარზე გაიდო და პურის საკმელად შინისაკენ გაეშურა. ჩვეულებისამებრ, სუფრა გაშლილი დახვდა. გლეხი მას ისე მიუჯდა, როგორც რიხტერი — ფორტეპიანოს — და პირველი აკორდი იმით ჰქონდა, ბაზარში რომ 1 კილო 10 მანეთი ღირს, იმ ლობიოთი სავსე ჯამს ეძგერა, თუმცა ჯამში სრული 1 კილო ეტეოდა, მან ულმობელი სისწრაფით მოუღო მას ბოლო და უკვე ერთიანად აღგზნებულმა, 200 გრამი (კილო ოცდაათმანეთიანი) ნიგვზით შეკმაზული საცივი დაითრია შიგ მოტივტივე სამ თუმნად ღირებული ქათმით!.. ქათმის ხორცი და ნიგოზი პირში პირდაპირ დნებოდა და გლეხს სიამოვნებისაგან კრუსუნი უნდოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ყელ-პირი დაკავებული ჰქონდა, და მეორეც ის, რომ... კატები ეჯავრებოდა! მალე საცივით სავსე გობში მხოლოდ ქათმის მაკეტილა დარჩა და მადაზე მოსული გლეხი, შესაბამისად რომ კგ-კგ 10 და 15 მანეთი ღირს, იმ კიტრითა და პამიდორით გაკეთებულ სალათას შეეკონტაქტა! პატარა, ქორფა და დაუჭრელ-დაუთლელი კიტრები სასიამოვნოდ ხრაშუნობდნენ მის ჯანმაგარ უბებში და საამური ჰანგებით სტომაქს უბრუებდნენ!.. სალათას გლეხმა ჩვეულებისამებრ დააყოლა ერთი თავი 20 მანეთად ღირებული ყველი და რესტორანში რომ ბოთლი 15 მანეთი ღირს, იმაზე უკეთესი ერთი ბოთლი ღვინო!..

ყოველივე ამის შემდგომ გლეხი, ასე თუ ისე, დანაყრდა. მაგრამ რომ გაახსენდა, ბარვა უნდა გაეგრძელებინა, 30 მანეთად ღირებული 1 კილო მარწყვი, ცოტა არ იყოს, უხალისოდ მიიჩოჩა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხალისიანად მიირთვა და პაწაწკინტელა, 30-მანეთიან ნესვს უკვე ეჭვის თვალით გადახედა, მაგრამ... მისი ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა — რამდენიმე წუთში მარწყვს ესალმებოდა!

ასე შესანსლა მხარბეჭიანმა გლეხმა ნახევარ საათში 100 მანეთის სანოვაგე. ამოიღო შემდეგ ჯიბიდან 16-კაპიკიანი „პრიმა“ და, მის მწარე ბოლში გახვეულმა, შურითა და სინანულით გაიხსენა ერთი ქალაქელი ახალგაზრდა, რომელმაც ერთხელ, ბაზარში, ბოშა ქალს ერთ კოლოფ სიგარეტში სამ თუმანნახევარი გადაუხადა და... მხარბეჭიან გლეხს კვლავ შემოაწვა გულზე ნაღველი, რადგან, კარგა ხანია, სახლ-კარის გაყიდვა და საცხოვრებლად ქალაქში გადასვლა სურდა, რათა თვითონაც ქალაქელივით შეეგრძნო და შეეცნო ჩვენი ხანმოკლე ცხოვრების ყადრი!..

ხოლო ის ქალაქელი ახალგაზრდა, რომელმაც თავს უფლება მისცა, სადღესასწაულოდ ერთი კოლოფი „პელმელი“ ეყიდა, და რომელიც რამდენიმე საათით ადრე სასადილოში 60 კაპიკად გამოძღა (ორი ცალი ხაჭაპური და ორი ჭიქა ვაუნინიანი წყალი). მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც გლეხი სადილს მიირთმევდა, გასტრონომში გაჭიმულ გრძელ რიგში იდგა და სხვა არაფერზე ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ როგორმე... კუთვნილი ტალონით 200 გრამი ყველი მოეპოვებინა!

ნომადი ბართაია

შეხვედრები გალაკტიონთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სახალწლოდ ასანთის რიგში ვიდექი. რიგს თავი და ბოლო არ უჩანდა, მაგრამ რა მექნა, იმ თვის ერთი კოლოფი ასანთის ტალონი მიუქმდებოდა!..

მთელი დღე ფეხზე დგომით ილაჯგაწყვეტილმა, რიგში, ერთი ძველი ნაცნობი დავლანდე. გამიხარდა, — ცოტას გავისაუბრებთ, დროს გავიყვანთ-მეთქი.

ცოტა კი არა, კარგა ბევრიც ვისაუბრეთ, რა არ მოვიგონეთ, რაზე არ ჩამოვაგდეთ სიტყვა.

როგორც იქნა, ჩვენმა რიგმაც მოაღწია და ასანთიც ავიღეთ!..

როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, იმ დალოცვილმა გულით მთხოვა: — ამ ხნის კაცი ხარ, რას არ მოსწრებიხარ, რა არ გინახავს, ვისთან არ გქონია შეხვედრები, აი, თუნდაც ის რად ღირს, გალაკტიონზე რომ მომიყევი!.. ამ ბუმბერაზ კაცზე მოსაგონარის მეტი რა გექნება, უკეთესი საჩუქარი რა უნდა დაუტოვო მომავალ თაობასო?!.

ამ თხოვნამ მართლა დამაფიქრა.

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ავიღე ხელში კალამი იმის აღსადგენად, რაც მეხსიერებას შემორჩა ქართული ლექსის ჯადოქარზე.



ამა და ამ წლის გაზაფხული იყო. ვერაზე, მაღაზიის წინ, კარტოფილის რიგში ვიდექი. ამ დროს ბელინსკის ქუჩიდან ვიღაც წვერიანმა კაცმა ჩამოიარა. რიგში ხალხი აჩოჩქოლდა. ყველამ მას მიაპყრო მზერა. უცნობს თეთრი პერანგი ეცვა და ყავისფერი ჩანთა ეჭირა. მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ცოტათი აღელვებული ჩანდა. ერთ-ორჯერ მარცხენა ხელი წვერზე მოისვა. რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. უცნობს მოწიწებით ესალმებოდნენ და გზას უთმობდნენ.

— გალაკტიონი მოდის! — ჩაილაპარაკა ჩემს წინ მდგომმა.

თვალები ამიჭრელდა. არ ვიცი, რა დამემართა. ქალაქში ახალი ჩამოსული ვიყავი. ლეგენდად ქცეული კაცის სახე მხოლოდ სურათებში თუ მენახა, ვერც კი წარმომედგინა, თუ მას ჩვეულებრივი ადამიანის ფორმაში ვიხილავდი!..

გონს რომ მოვეგე, გალაკტიონი უკვე თვალს მიფარებოდა!..

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა დიდ მგოსანთან.

* * *

მახსოვს ამა და ამ წლის შემოდგომა. რუსთაველის გამზირზე ქარი მოსვენებას არ აძლევდა ჭადრის ყვითელ ფოთლებს. მზე ოქროსფრად იღვრებოდა და სიცივესაც ჯერ არ დაეკრა. შილიფად მეცვა. საპნის რიგში ვიდექი და მკერდს ვუშვერდი შემოდგომის თბილ ქარს. საპონი ბევრი მოეტანათ და ვიცოდი, შემხვდებოდა. მეც ბედნიერი სახით გავყურებდი ხალხით სავსე გამზირს.

უცებ, ვხედავ, გამზირის მოძრაობის რიტმი დაირღვა. მოქალაქეთა ჯგუფების ცნობისმოყვარე სახეები შევნიშნე, მათი მზერა ერთი წერტილისკენ იყო მიმართული და მას მიჰყვებოდა. მეც იქითკენ გავაყოლე მზერა და უნებურად გავყევი ცნობისმოყვარეთა ტალღას. ის იყო, უნდა მეკითხა, რა ხდება-მეთქი, რომ ჩემს წინ გალაკტიონი მიუყვებოდა გამზირს! თეთრი კიტელი ეცვა, გვერდით ჩია ტანის კაცი მიჰყვებოდა და აღფრთოვანებით ესაუბრებოდა რაღაცაზე. აშკარა იყო, თავს იწონებდა ამ ბუმბერაზ ადამიანთან სიახლოვით!.. გალაკტიონი თითქოს არც უსმენდა მას, ხანდახან თავს დაუკრავდა.

დაახლოებით კინო „რუსთაველამდე" გავყევი საყვარელ პოეტს სხვებთან ერთად. იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგონა!..

უცებ გამახსენდა, რომ რიგი მქონდა დაკავებული და, მისი დაკარგვის შიშით, ელდანაკრავივით გამოვბრუნდი უკან!..

სამუდამოდ აღმებეჭდა ყოველი წვრილმანი იმ წუთებისა. მართალია, სახით არ მინახავს მაშინ გალაკტიონი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა ყოველი ნაკვთი სახისა, რა სევდიანი თვალებით გაჰყურებდა სივრცეს!..



* *

ესა და ეს წელი იყო. ჩვენს გასტრონომში ფერმის ქათმები მოეტანათ გასაყიდად. ჩავიდე პარკი ჯიბეში და ჩავდექი რიგში. ამ დროისათვის გალაკტიონს პირადად ვიცნობდი. ვხედავ, ჩემი საყვარელი პოეტი, იქვე, გაჩერებასთან, ცაცხვის ქვეშ დგას და სიგარეტს ეწევა. ბევრი ვიყოყმანე, — რა ვქნა, მივიდე, არ მივიდე?!. როგორც იქნა, გავბედე. დიდი მოწიწებით მივესალმე და მოვიკითხე.

— წავიკითხე, ძამიკო, შენი ლექსები!.. წერე, ძამიკო, წერე!..

თავბრუ დამეხვა!.. გალაკტიონს წაეკითხა ჩემი ლექსები!..

კინაღამ დამავიწყდა ქათამი და მისი რიგი!..



* * *

ამა და ამ წლის ნოემბერი იყო. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის წინ მდებარე მაღაზიასთან ფეხსაცმლის რიგში ვიდექი. ამ დროს რედაქციიდან გალაკტიონი ჩამოვიდა. დამინახა თუ არა, მომესალმა, რიგიდან გამოვედი და ხელი ჩამოვართვი პოეტს.

— ფეხსაცმლის რიგში დგეხარ, ძამიკო? ო, კარგია, ძამიკო, დადექი, კარგია ფეხსაცმელი!..

შემდეგ მხრებზე მომითათუნა ხელი და წავიდა.

მართალია, იქ მდგომთ ამის შემდეგ რიგი არ დაუთმიათ ჩემთვის, მაგრამ ყველა მოწიწებით მიყურებდა. ზოგის თვალებში შურიანი გამოხედვაც კი შევნიშნე.

გალაკტიონი ხომ მაშინ საქვეყნოდ აღიარებული მგოსანი იყო!

* * *

ამა და ამ წლის თებერვალი იდგა. მაღაზიაში ტომატის პასტა გამოეტანათ და იმის რიგში ვიდექი.

ვხედავ, ქუჩაში გალაკტიონი ვიღაცასთან ერთად მოდის. დავტოვე რიგი და შევეგებე პოეტს. მივესალმეთ ერთმანეთს.

— ძამიკო, აკადემიაში მივდივარ, შეხვედრას მიწყობენ. პირველად უნდა წაიკითხოს დღეს აკადემიაში პოეტმა ლექსები!.. დრო თუ გექნა, მოდი, სამ საათზე იწყება!..

სამწუხაროდ, რვა საათამდე ვიდექი რიგში!..

* * *

ამა და ამ წლის ოქტომბერია. მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ხილბოსტნეულის მაღაზიაში ხახვი მოეტანათ, რიგში სული შემეხუთა და გარეთ გამოვედი. ვხედავ, გალაკტიონი დგას ახალგაზრდებში, მხიარული სახით რაღაცას ჰყვება. მეც შევუერთდი მათ. პოეტი კარგ გუნებაზე იყო. უცებ ხელი მთაწმინდისკენ გაიშვირა. ყველანი მივუხვდით გულისწადილს!..

— წავიდეთ, ბატონო გალაკტიონ, მთაწმინდაზე! — შესთავაზა მოწიწებით ერთმა ახალგაზრდამ.

— წავიდეთ, ბატონო გალაკტიონ! — დაუმატა მეორემ.

— წავიდეთ, ძამიკოებო, ავიდეთ!..

მე, აბა, სად წავიდოდი?!.

გვიან ღამემდე უვლიათ, თურმე, მათ მგოსანთა საფლავებს შორის. გალაკტიონი აკაკის საფლავთან ჩაფიქრებულა და შემდეგ „მთაწმინდის მთვარე“ წაუკითხავს თავისებური მგზნებარებით!..

* * *

ერთხელ ზემელზე ყველის რიგში ვიდექი. თუ არ ვცდები, ამა და ამ წლის მიწურული იყო. ამ დროს მაღაზიის წინ გალაკტიონმა ჩაიარა. ჩემს უკან მდგომს ვუთხარი, ახლავე მოვალ-მეთქი და გალაკტიონს გამოვეკიდე. გავუსწორდი თუ არა, მორიდებით მივესალმე და მოვიკითხე.

— რა კარგია, ძამიკო, რომ გნახე! — თქვა მთრთოლვარე ხმით და ჩანთიდან ვიღაცის წიგნი ამოიღო.

— ასე არ შეიძლება წერა! ძამიკო! აი, ნახე, რას წერს!

და წაიკითხა ერთი სტროფი რომელიღაც მისი თანამედროვე პოეტის ლექსიდან.

შემდეგ უცბად დაკეცა წიგნი, ჩადო ჩანთაში და განაგრძო გზა.

აღელვებული ჩანდა. დავემშვიდობე პოეტს და გამოვბრუნდი.

* * *

ამა და ამ წლის გაზაფხული იყო. ფილარმონიასთან, გასტრონომში, ძმრის რიგი დავიკავე და ყაზბეგის ქუჩაზე კომბოსტოს რიგის დასაკავებლად გადავდიოდი, რომ სასტუმრო „საქართველოს“ წინ გალაკტიონი დავინახე. მინდოდა, მივსალმებოდი და მომეკითხა, მაგრამ უგუნებობა შევატყვე. ამღვრეული ჩანდა!.. ვერ გავბედე ახლოს მისვლა!.. ნერვულად ისვამდა ბრჭყალებს წვერზე, თითქოს ვიღაცას ეჩურჩულებოდა!..

ვერ გავბედე მასთან მისვლა. ის ხომ სადღაც იყო მაშინ!..

თურმე ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იყო პოეტთან!..

ახლა არაფრის რიგში არ ვდგები, რადგან არაფერი არ იყიდება და აღარც გალაკტიონს ვხვდები!..

ილუსტაციები **ჯემალ ლოლუასი**

— ᲬᲘᲜᲓᲐᲢᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲤᲐᲚᲢᲐᲙᲐᲖᲔ ᲣᲘᲓᲘᲡ!..

ნახ. Შ. ᲚᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ



ᲒᲐᲘᲮᲔᲚᲘᲓᲔ ᲨᲣᲜᲯᲐᲠᲐᲨᲘ. ᲘᲣᲜᲘᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲗ, — ᲞᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲗᲘᲗ ᲨᲣᲥᲘ. ᲧᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲙᲐᲠᲐᲗ!..

ნახ. ᲒᲐᲠᲩᲣᲙᲘ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

— ᲛᲔ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲚ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲓᲔᲑ, ᲛᲐᲛᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲙᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲠ. ᲨᲘᲓᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐᲡ!..

ნახ. Მ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ

— ᲠᲐᲡ ᲨᲕᲠᲔᲑᲘ, ᲜᲘᲜᲐᲕ, ᲮᲔᲖᲔ ᲐᲡᲔᲚᲡᲔ ᲜᲐᲕᲔᲚᲝᲗ?!
— ᲐᲐᲰ, ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲛᲘᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲚᲐᲮᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲠᲔᲓᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲖᲔ ᲨᲝᲗᲗᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲕᲭᲐᲛ!

ნახ. Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐᲜᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნახ. Ვ. ᲙᲣᲪᲘᲐᲜᲘ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ნახ. Ბ. ᲙᲔᲤᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲐᲛᲘ ᲐᲜᲣ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

— ᲡᲐᲛᲜᲘ ᲜᲐᲕᲨᲘ. ᲝᲚᲚᲐ. ᲜᲘᲡᲚᲘ.
ᲗᲣᲗᲣᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲜᲘᲜᲐ,
ᲡᲮᲕᲐᲡ ᲓᲐᲢᲧᲔᲑᲔ, ᲛᲔ ᲛᲝᲛᲘᲡᲕᲠᲘ?
— Ш е и ж л е б а!

— ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲕᲔᲯᲓᲘ,
ᲑᲔᲕᲠᲘᲪ ᲔᲣᲪᲣᲐᲓ ᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲐ!
ᲙᲐᲠᲒᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲮᲓᲘ?
— ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ!

— ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲛᲠᲩᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ:
ᲔᲠᲝᲤᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲫᲚᲘᲔᲚᲐᲓ ᲰᲒᲣᲝᲑ,
ᲛᲔᲪ ᲤᲔᲮᲑᲖᲔ ᲓᲐᲘᲙᲘᲓᲔᲑ?
— ᲣᲡᲐᲗᲣᲝᲓ!

ᲚᲐᲚᲘ ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

სასაცილო ფირფიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღვნა

რამდენიმე პარტიის წევრსა და ცხრა მთავრობის იმას!..

რაც ვერ შეძლეს მისმა
მტრებმა,
სულ იოლად შეძლო მან:
მისი მტრების, — როგორ
გითხრათ, —
შიგ იმაში შეძრომა!..

ყოფილიყო! ეღიღინა! —
ეჭამა და ეწრუპა! —
არა! მაინცადამაინც
მოინდომა შეძრომა!

ეგ შენს კარგ ფილმს
მოინელებს?
შენს კარგ სპექტაკლს!
შენს რომანს?
ერთადერთი ნუგეშია —
მოგინდომებს შეძრომას!

დაუკვირდით,
მკითხველებო!
როგორ ფიქრობთ, გეცნობათ?
დაუკვირდით, ოღონდ
ფრთხილად! —
დააპირებს შეძრომას!..

აქვს კაცს გრძნობა იუმორის
(კიდევ კარგი, ეს რომ აქვს):
თვალს ჩაგიკრავს, სანამ
ეშხით
დაიწყებდეს შეძრომას!..

ხალხი კიდევ ესალმება
ტიპს, გაჩენილს ქვეძრომად:
— გაუმარჯოს მამულიშვილს,
ერისკაცს და... შეძრომას!

ტია-ტია

გულის საქმე

ქელეხში ვართ, ღვინოს
„ვწრუპავთ“,
ვღეჭავთ სიფრიფანა სათალს!
გულის საქმე ევტიხოვიჩს
ვკითხე — ადრე ნაინფარქტალს
(გული მაშინ გვახსენდება,
ჩიტივით რომ იწყებს
ფართქალს!).
მან მიბრძანა: „გულისყურით
თუ მომისმენ, გეტყვი მართალს:

შენაც მკაცრად მოექცევი,
სხვა თუ არის შენთან მკაცრი,
გული მუდამ მართალია,
ჩვენ ვტყუივართ — მსმელნი კაცნი:
ზოგი „კრუგლოსუტოჩნია“,
ზოგიც კიდევ — „ბეზატკაზნი“,
მეც ქე ვიყავ „ბეზპრერივნი“,
მაგრამ გულმა მიყო ტკაცნი!..

ამას გარდა, არის კიდევ
ვაი-მსმელთა დიდი რაზმი,
ეგრე „აბრაზოვანი“ ჩანს,
სმაში ხდება „ბეზაბრაზნი“!

ევტიხოვიჩ შეეინჟღილდა
და ზუზუნიც შეგვაპარა:
„გურიაში მივალ, მარა
სულმა წინ-წინ გეიპარა!..“
— აგერ გითხრა: „გულის ამბავს
სხვას არ ვკითხავ, არა, არა!
რასაც თვითონ ძეუბნება,
თუ მოვუსმენ, ისიც კმარა!“

ევტიხოვიჩს ვატყობ, უკვე
დაუბრუნდა მღერის ჯარა:
„გურიაში მივალ, მარა
სულმა წინ-წინ გეიპარა!..“

— კარგადა ვარ, ჯიბეშიაც
ქე მიჭყავა ორი ფარა,
არაფელი არ მაკლია,
ცოტა გულს ვუჩივი, თვარა!

ღვინო არა! ეს მიშობა, —
თუთუნს რო ვსვამ წარამარა!
მაინც მაგრა უნდა ვიყოთ,
შიშით კაცი არ მომკვდარა!

— ევტიხოვიჩ, დავამთავროთ,
ქელეხია, აწი კმარა!
— თურმე სულგანათლებულმა
ოცდაერთი დეიბარა!
„გურიაში მივალ, მარა
სულმა წინ-წინ გეიპარა!..“

შეტორტმანდა, შავი ღვინო
სუფრას სისხლად მოეღვარა!..
— ვალიდოლი! ვიკასოლი!
სასწრაფოში, აბა ჩქარა!
„ვიდრე პავლე მოვიდოდა“,
სული გამჩენს მიაბარა!..

მის ქელეხშიც გულში ღიღინს —
„გურიაში მივალ, მარა“ —
შეძახილი ამშვენებდა: —
ჩვენში ცოცხლობს, არ მომკვტარა!

ალექსი ჭინჭარაული

ჰონორარი

ერთმა ცნობილმა მწერალმა
დიდი მოთხრობა დაწერა
და მიუტანა რედაქტორს
ციმციმ ნაწერი დამწველად!..

„მორიგ ნომერში დავბეჭდავთ!“ —
თქვა რედაქტორმა ღიმილით
და მერე მწერალს თვალიდან
ღიმილი მოსწყდა ღილივით.

„ოღონდ ნომრის მთელ
ჰონორარს, —
ყველას აზრია ასეთი, —
მოვახმართ დაზარალებულთ!
თქვენ რა აზრის ხართ,
რას გვეტყვით?!“

მწერალი დუმდა!.. ყოველი
ძვირფასი იყო წამი ხომ!..
დაავლო ხელი მოთხრობას
და უკან ციმციმ წაიღო!

მურმან ძველაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ცარიელი ჩანთებით საით გაგიწევიათ?

— გავიგე, მაფიოზები პროდუქტებს ჰყრიანო!.. ეგებ, მეც შემხვდეს რამე!..

ზესტაფონური ანეკდოტები ბადრიაზე

ერთხელ ბადრიას მევალეები მოადგნენ კარზე.

— რას შვები, კაცო, როდის გვიხდი ვალებს?! — უთხრეს მევალეებმა.

— ცოტა კიდევ მაცადეთ, ხალხო!.. აგერ, გავასვენებ ჩემს ხიდედრს, და გაგისტუმრებთ ყველას ერთად! — დააწყნარა ბადრიამ მევალეები.

* * *

ბადრიას ხიდედრი ნავით გადაჰყავდა ყვირილაზე. უცებ ნავი გადაბრუნდა და ხიდედრი წყალმა წაიღო!..

— მიშველეთ, ხალხო, ხიდედრი წყალმა წაიღო!..

შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დამრჩა ვალები გადაუხდელი!..

* * *

— კაცო, არ კვდება, მგონი, შენი ხიდედრი და დაგრჩა გადაუხდელი ვალები! — უთხრა ერთ დღეს ზურიამ ბადრიას.

— მაშინ მე გამისკდება გული და ხიდედრი გადაიხდის ჩემს ვალებს! — უპასუხა ბადრიამ.

* * *

ხიდედრის გახვენების შემდეგ ზურიამ უთხრა ბადრიას:

— არ ვიცოდი, თუ ასეთი კარგი ხიდედრი გყავდა, ძმაო! ვალებიც გაგასტუმრებია და „უიგულიც“ გაყიდია, მეტი რა გინდა?!

— არაფერი, აცხონოს ღმერთმა! — გადაიწერა პირჯვარი ბადრიამ.

* * *

ერთხელ სახურავიდან დაცურებული კრამიტი ბადრიას თავში მოხვდა.

ბადრია სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

— ისე, კი მჭონია იღბალი, სახლზე შიფერი რომ არ მიფარია, თორემ ახლა მკვდარი ვიქნებოდი! — უთხრა ცოლს შეშინებულმა ბადრიამ.

* * *

მეზობელმა ბადრიას სასამართლოში უჩივლა.

— მოქალაქევ, — უთხრა მოსამართლემ ბადრიას, — მეზობელი გიჩივით, თქვენს თხას მისი სიმინდი შეუჭამია!..

— მერე მე რას მიჩივის, ბატონო?! თხას უჩივლოს!

— როგორ თუ თხას?! თხა ხომ თქვენია?!

ჩემს თხას მე ერთი წელია, რაც სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მივეცი! — ამაყად მოახსენა მოსამართლეს ბადრიამ.

* * *

ერთხელ ბადრიას მეზობლები — ზურია და ალიოშა წაიჩხუბნენ.

საქმე სასამართლომდე მივიდა.

მოწმედ ბადრია დაასახელეს.

ბადრიას ჩვენებაზე დაყრდნობით სასამართლომ საქმე ზურიას სასარგებლოდ გადაწყვიტა.

— კაცო, რატომ ალიოშას სასარგებლოდ არ მიეცი ჩვენება, ალიოშა ხომ მართალი იყო?! — უსაყვედურა ცოლმა ბადრიას.

— ქალო, ალიოშამ იქითა კვირას ისეთი მეკავე ღვინო დამალევინა, დღესაც კუჭი მაწუხებს და მაგის სასარგებლოდ მივცემდი ჩვენებას მე?! — დააწყნარა ცოლი ბადრიამ.

შეკრიბა ერმალო მაღრაძემ

ეროვნული ფარიკაობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

იმ საღამოს ჩემმა რეჟისორმა მითხრა, ყრუს როლს გაძლევ ხვალიდან ახალ სპექტაკლში და, თუ კაცი ხარ, როგორმე მოამზადე თავიო! კაცმა რომ თქვას, რომეოს როლი მერჩივნა, მაგრამ სალაპარაკოა ბევრი! ისევ ყრუს როლი სჯობია!

გამოვედი თუ არა თეატრიდან, მუნჯურად გავაჩერე ტაქსი. სახლთან რომ მივედი, მრიცხველზე 80 კაპიკი ეწერა. გაცრეცილი მანეთიანი მივაწოდე მძღოლს.

— ეს რა არის?! — ისე შემხედა, მეგონა ყველის ტალონში შემეშალა. დავხედე — მანეთიანი იყო. მე ხომ ყრუ ვიყავი?! შევედი როლში და უსიტყვოდ მივურეხვე კარი.

— ოხ, მე შენი უკოოპერატივო კეთილები! — ჩაიღრინა მძღოლმა. რა კარგი ყოფილა ყრუობა: არ გამიგონია და მორჩა!

— ლა მომიტანე? — მოტლიკინდა ჩემი ორი წლის ვაუკაცი. ქუდი მოვიხადე და ბავშვს დავახურე. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე მოსიარულე სოკო.

— როგორც იქნა, მობნელდი?! — გამოცრა ცოლმა. ყურთან ხელი გავიქნიე, არ მესმის-მეთქი.

— ა, უყურე შენ?! გულიანად ჩხუბს რომ ვაპირებ, ახლა დაყრუვდა! ასეა, ბატონო, როცა გვინდა, დავყრუვდებით! მოდი, „ბიეო, აქ! — ბავშვს ისედაც ამოწეული შარვალი ისეთი გულმოდგინებით ამოუწია, კინაღამ ქვემოდან გაგუდა.

— აა!.. მმ!.. — მოვითხოვე საჭმელი.

— ჩაგისკდა ეგ მიმხმარი მუცელი! ნეტავი, რა მოგაქვს, რომ მთხოვ?! შეგხედავენ, რაღაცას გავხარ! რას — ძნელი დასადგენია!

მე ხუფის ხვრეპა დავიწყე.

— ნახე, შვილო, ნახე და დაიმახსოვრე! ნახე, რას გავს?! შენ რომ შეგხედავენ, დედიკო, ვინ დავჯერო, მაგი რომაა მამაშენი?!

— ცოტა მლაშე მოგსვლია! — გავიკრიჭე.

— შენ მოგივიდა სიკვდილის წელი! უყურე, შვილო, უყურე! — ჩაითრია „ომში" შვილი. — რას გავს, შეშად მაინც ვარგოდეს! ვხერხავდი და ჩავუთრევდი დედაჩემს სოფელში საზამთროდ!

— აგაშენა ღმერთმა! — ვთქვი და სიგარეტი გავაბოლე დანაყრებულმა.

— ნახე, შვილო, ნახე, რომელი ფეჩის ტრუბა და ლამპის შუშა არ ჯობია მაგას! რავა კაცივით გააბოლა! ქე მინდოდა მეორე შვილი, მარა გადავიფიქრე! რამ დააყრუა ეს ამოწყვეტილი?! ნახე, როგორ უყურებს ტელევიზორს, ვითომ ხვდება რამეს!

ბავშვი თავს უქნევდა. მოვწიე აქეთ და ყური ავუწიე. ბავშვმა იჭყვირა, მაგრამ მე ვითომ ყრუ ვიყავი და არ გამიგონია.

— რავა აყვირებს საკუთარ შვილს ეს დესპოტი! — იგრიალა ცოლმა, — შენ ეს ბავშვი მართლა შენი ხომ არ გგონია?!

მე ყრუ ვიყავი და ფანჯარა გამოვაღე.

— ა, უყურე, უნდა დაგვაცივოს სულ! გახეულ ცემენტის „პაჭკას" არ გავს ეს უბედური?!. დახურე ფანჯარა!

მე ყრუ ვიყავი, მაგრამ ფანჯარა მაინც დავხურე შეცდომით. მერე დავიძინე. დილით მაღვიძარამ იზრიალა. ვითომ არ გამიგია, ირიბად შევხედე, მაგრამ ძილი აღარ გამეკარა. ავდექი და ახალ წელზე დავაყენე. დავაყენე და არ დავქოქე!.. ნახოს ერთი, რავარია თვენახევარი უმუშევრობა!

ახლა რომ მკითხონ, რამდენ ხანს იცოცხლებო, ვუპასუხებ — სულ, სანამ მინდა! რატომ? როგორ?

იმიტომ, ბატონო, რომ ყრუ ვარ. მოძუნძულდება სიკვდილი. მომიკაკუნებს, ყრუ ვარ და არ გავიგონებ! მომიკაკუნებს, — კიდევ არ გავიგონებ! მოწყინდება და წაძუნძულდება ისევ თავის სასიკვდილე სახლში! ეგ კი არა, ხვალ უნდა მივიდე, პლასტიკური ოპერაცია გავიკეთო და ნამდვილად დავყრუვდე! ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილია ყრუდ ცხოვრება!

მურმან მერკვილიშვილი

— ვის უბედავ, ხურდა მოგმეცით?!. მე, ეროვნული მოძრაობის აქტიურ მონაწილეს?!.

ნახ. ჯ. ლოლუასი



ყველაფრის წამომწყები

ნოველა

მართალია, წელიწადზე მეტია, რაც ახალი ხელმძღვანელი დანიშნეს, მაგრამ დერეფნებსა და კაბინეტებში დღემდე გრძელდება ჩურჩული და მითქმა-მოთქმა. ყველაზე მარჯვეებმა და ამ საქმეში დაოსტატებულებმა უპირველეს ყოვლისა იქ გამოძებნეს ნაცნობები, სადაც ადრე ახალი შეფი მუშაობდა, და მათი მეშვეობით არკვევდნენ, რა უხარია და რა წყინს მას, ვისთან იყო უფრო ახლო, ვის ენდობოდა და ვის უჯერებდა. ისიც დააზუსტეს, რომელ საათზე, რა წუთებში მოდიოდა და მიდიოდა სამსახურიდან.

ახლა, თითქოს ერთთავად შეშფოთებულები და საერთო საქმისათვის გულდამწვრები, სწორედ იმ დროს ტრიალებენ შეფის კაბინეტთან. აგინებენ ძველს და აქებენ ახლის იმ თვისებებს, რომლებიც ძველისა არ მოსწონდათ.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ტაქტიკამ ზოგს გაუმართლა კიდეც და ერთი საფეხურით დაწინაურებულნი უკვე ზვიადად გადაჰყურებდნენ კოლეგებს.

ამიტომაც იყო, როდესაც ხელმძღვანელმა ერთი ახალი თაოსნობა მოიწონა, მაშინვე ამოქმედდა უხილავი მანქანა. აწრიალდა და აფორიაქდა აპარატი: ვინ ვის აჯობებდა, ვინ უფრო იყოჩაღებდა, ვინ იქნებოდა ის ბედნიერი, რომელიც პირადად თუ სხვისი დახმარებით ჩააწვეთებდა შეფს: მე ვარ მაგ თაოსნობის ავტორი. ჩემს მეტი მაგ საქმის გამკეთებელი აქ კაცი შვილი არ არისო.

ელესა კაბინეტში სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც კოლეგიის წევრად ახალარჩეული იკა ახალდაწინაურებულ თავმჯდომარეს ექაქანებოდა:

— პიკის საათია? — რა თქმა უნდა, მე შემოვიღე, პეტრე შვებულებაში იყო და ვახტანგ ნიკალაევიჩს მე მივაწოდე ეგ აზრი, ეს ამ ორი წლის წინათ მოხდა.

ელესა პირში მთქმელ კაცად ითვლებოდა. ამით თავიც მოსწონდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ პირში მთქმელობამ კარიერაშიც და ცხოვრებაშიც ბევრჯერ შეუშალა ხელი, თავისას მაინც არ იშლიდა. ეგ კი არა და, როგორც ვთქვით, ამით თავიც კი მოსწონდა, ამიტომ საუბარში პირდაპირ ჩაერთო:

— რა ვიცი, გუშინ ნინო ვინახულე საავადმყოფოში და მაგაზე ასე თქვა: საღამოს გადაცემებს რომ ვამზადებდი, პირველად მაშინ დავნერგე ეგ სიახლეო.

— რას ამბობ, ელესა, რას? — იკივლა იკამ. — ხომ გახსოვს, ვახტანგ ნიკალაევიჩმა რომ დამავალა, მოვამზადე კიდეც, მაგრამ მაშინ რატომღაც არ გაკეთდა, კი იცი შენ!

— ჰოდა, რომ ვიცი, იმიტომაც ვთქვი...

— მოიცა, მოიცა, — სიტყვა შეაწყვეტინა თავმჯდომარემ, — პირველად ეგ სიახლე მე დავნერგე. ინფორმაციებს ვურთავდი მუსიკას, რომელსაც ამავე დროს ტელეტაიპის კაკუნიც ედებოდა. ეგ იყო და ეგ. ზუსტად ეს არა, მაგრამ ჩანასახში სწორედ ეს იყო.

იკა ისე იყო გატაცებული იდეის მითვისების სურვილით, რომ თავმჯდომარესაც კი არ მოერიდა:

— ეგ ამ ერთი წლის წინათ მოხდა. მე კი ორი წლის წინათ...

— რომელი ერთი წლის წინათ, ქალო! ერთი კი არა, ხუთი წლის წინათ მაინც გავაკეთე, დაგავიწყდა?

ელესას მიუბრუნდა, უარყოფა არ შეიძლებოდა:

— მართალია, მთლად ეს სახე არა ჰქონდა, მაგრამ მიმსგავსებული კი იყო. ინფორმაცია და მუსიკა, მუსიკა და ინფორმაცია. მხოლოდ ინფორმაციის უბნები იყო ერთგვაროვანი.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — სასწრაფოდ დაეთანხმა ელესა.

იკა კომპრომისზე აღარ წასულა...

ორიოდე დღის შემდეგ ელესამ ეს ამბავი დაწვრილებით უამბო ყოფილ უფროსს.

— კი მაგრამ, გამოდის, რომ მე არაფერ შუაში ვყოფილვარ. უჩემოდ შეიძლებოდა კი, საერთოდ, რაიმეს გაკეთება?! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან და წყენის ჩრდილმა გადაუარა სახეზე.

„ამ პატარა იდეას მეოთხე ავტორიც გამოუჩნდაო“, — მწარედ გაიფიქრა ელესამ

... ყველაფრის წამომწყები გელა ცეკვავა კი წყნარად იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან და თავის საქმეს, როგორც ყოველთვის, ახლაც მუყაითად აკეთებდა.

კ ო პ ა ლ ა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 1 (1827). იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 05.12 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.01.91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა **„სამშობლო“**, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 2595. ტირაჟი 80000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели, № 42. Газетно-журнальное издательство Грузии «Самшобло», типография газетно-журнального издательства Грузии «САМШОБЛО». Тбилиси, ул. М. Костава, № 14.

ფასი 40 კაპ.

ინდექსი 76187

7-91

91-61

— რას ხჩადის ეს ხალხი?!
— დროის შესაფერისად იქცევიან, მაგიდას ამრგვალებენ!

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ